ბრძანება:ბ41. 41252232
თარიღი:11/08/2025

გიორგი როგავას სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დანიშვნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ " ქვეპუნქტის, საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ" 83-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომითი კოდექსი" - მე-12 მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7-ე დადგენილების 113-ე მუხლის მე-2 პუნქტის და სენაკის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - აპარატის უფროსის მ/შ მოხსენებითი ბარათის (41-41252196) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაინიშნოს გიორგი როგავა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის პოზიციაზე 2025 წლის 11 აგვისტოდან 2026 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით (ერთი წლის ვადით).
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეს შრომითი ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს - საკრებულოს აპარატის უფროსის მ/შ (ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) - ბადრი ძაგანიას.
4. გამოცემული ბრძანების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას; გიორგი როგავას.
5. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის: ქ. სენაკი. რუსთაველის ქ №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი